ამონაწერი ოქმი №17–დან

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის – „ასბინიანი–2007“–ის მობინადრეთა საერთო კრებისა, რომელიც შედგა 2016წ. 9 აპრილს მისამართზე: მ. კოსტავას ქ. №63 ეზოში. კრებას ესწრებოდა ამხანაგობის 70 წევრი, რომელიც შეადგენს მობინადრეთა 100%–ს.

კრების თავმჯდომარე მედეა ბასარია

კრების მდივანი მერი ჩიხლაძე

დღის წესრიგი

1. „ანდღულაძის ვოკალური ფონდის“ ხელმძღვანელის გური ზაქარეიშვილის განცხადების შესახებ.

მოისმინეს: 1. დღის წესრიგის პირველ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის „ასბინიანი–2007“–ის თავმჯდომარე მ. ბასარია. მ. ბასარიამ კრების მონაწილეებს, მ. კოსტავას ქ. №63 სახლის მობინადრეებს, გააცნო ამხანაგობის წევრის გური ზარაეიშვილის განცხადების შინაარსი. გური ზაქარეიშვილი ითხოვს ნებართვას – ამხანაგობის წევრთა თანხმობას, მ. კოსტავას ქ. №63 საცხოვრებელ სახლზე გაკეთდეს დიდი მაესტროს – ნოდარ ანდღულაძის და მისი მშობლების ხსოვნის უკვდავსაყოფად ერთი მემორიალური დაფა.

აზრი გამოთქვეს: 1. მ. ამირანაშვილმა, ნ. რაჭველმა მ. მაჭავარიანი–ანჯაფარიძემ, ზურაბ ანჯაფარიძე უმცროსმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს გური ზაქარეიშვილის თხოვნას.

დაადგინეს: 1. დაკმაყოფილებულ იქნას გური ზაქარეიშვილის თხოვნა და ნება დაერთოთ მ. კოსტავას ქ. №63 საცხოვრებელი სახლის პირველი სადარბაზოს კედელზე გაკეთდეს დიდი მაესტროს ნოდარ ანდღულაძისა და მისი მშობლების ხსოვნის უკვდავსაყოფად ერთი მემორიალური დაფა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – ყველა ერთხმად

წინააღმდეგი – 0, თავი შეიკავა – 0

კრების თავმჯდომარე: მედეა ბასარია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160373410
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.04.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ანნა როინიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის გამზირი 5, IV სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 - 36 40 32
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	71720053330416

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თექვსმეტი წლის ცამეტ აპრილს მე, საქართველოს ნოტარიუსს ანნა როინიშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის გამზ. №5, მეოთხე სართული, მომმართა **მედეა ბასარიამ**. მან წარმოადგინა **ამონაწერი ბ.მ.ა. "ასბინიანი 2007"-ს 09.04.2016წ. №17 კრების ოქმიდან** და მოითხოვა თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მედეა ბასარიამ** (დაბადებული 18.06.1949წ. გალში, პირადი №01024050518, პირადობის მოწმობა №13IH08949, გაცემული 18.09.2014წ., რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. 63, ბ. 31) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი. მე, ნოტარიუსი ანნა როინიშვილი, ვამოწმებ მხოლოდ მის ხელისმოწერის სინამდვილეს, პასუხს არ ვაგებ ტექსტის შინაარსსა და სისწორეზე.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 2,0 ლარი თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2,0 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილების 39.1 მუხლისა; სულ 4,0 ლარი.

ნოტარიუსი ანნა როინიშვილი